სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № 12

სენაკი „23“ იანვარი 2024 წ.

ერთის მხრივ, სენაკის მუნიციპალიტეტის მერია (მის: სენაკი, ჭავჭავაძის ქ. #103.) საიდენტიფიკაციო კოდი: 239889705; რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი **TRESGE22**; ა/ა GE24NB0330100200165022, წარმოდგენილი– მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ გადელიას სახით (შემდგომში „შემსყიდველი“)

და მეორეს მხრივ შპს ,,სუფთა წყალი'' (მის: ქ. თბილისი, ფალიაშვილის ქ. #118) საიდენტიფიკაციო კოდი: 205150655; საბანკო რეკვიზიტები: ანგარიშის № GE13BG0000000129766400 სს ,,საქართველოს ბანკი”, ბანკის კოდი: **BAGAGE22** (შემდგომში `მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ირაკლი კალმახელიძის სახით

იმის გათვალისწინებით, რომ მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს სასმელი წყალი დისპენსერისთვის (ეტაპობრივად, მოთხოვნის შესაბამისად) 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შემდეგ თანხაზე: 3360,00 (სამი ათას სამასსამოცი) ლარი (შემდგომში “ხელშეკრულების ღირებულება”).

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომ - “ხელშეკრულება”) შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 “ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 “შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომ “შემსყიდველი”) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 “მიმწოდებელი” ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც გააფორმა შემსყიდველთან ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.5 “დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების ობიექტი

2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით დისპენსერისთვის 280 ცალი (19 ლიტრიანი) სასმელი წყლის (CPV 41110000) შეძენა, ერთეულის ფასი 12 ლარი.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს--3360,00 (სამი ათას სამასსამოცი) ლარს

4. საქონლის ხარისხი

4.1 ხელშეკრულების ფარგლებში მისაწოდებელი საქონელი უნდა იყოს ახალი, ხარისხიანი და აკმაყოფილებდეს შემსყიდველის მოთხოვნებს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადონ საქონელი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა და კონტროლის შედეგად დაზიანებული საცდელი ნიმუშების ღირებულების დაფარვა.

5.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

6. საქონლის მიწოდების პირობები

6.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

6.2 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

7.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

8. ანგარიშსწორება

8.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

8.2 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება საქონლის მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

8.3 მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

8.4 ანგარიშსწორების ადგილია ქალაქ სენაკი.

9. ფასები

9.1 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

9.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. უფლებების გადაცემა

11.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

12. სუბკონტრაქტორები

12.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინადებარე ხელშეკრულების დამატების სახით.

12.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

12.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.02 %-ს.

13.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

14.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი ეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

14.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის (მონტაჟის) ღირებულება.

15. ფორს-მაჟორი

15.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების

შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა.

16.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

17. გამოყენებული სამართალი

17.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

18. ხელშეკრულების ენა

18.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

19. შეტყობინება

19.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

19.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

20. გადასახადები და დაბეგვრა

20.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მისაწოდებელი საქონლის წარმოებასა და მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

20.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

21. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

21.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან 2025 წლის 31 იანვრის ჩათვლით

22. ინტერესთა კონფლიქტი

22.1 ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის ,,ე'' ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტის შესაბამისად სენაკის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს ,,სუფთა წყალი''-ს შორის ხელშეკრულების გაფორმება არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-8 მუხლით ინტერესთა კონფლიქტისათვის დადგენილ მოთხოვნებს.

23. სხვა პირობები

23.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

23.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი

პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

23.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

24.მხარეთა უფლება-მოვალეობები

24.1.სასმელი წყლის დისპენსერი და 19 ლიტრიანი მოცულობის ბოცა საკუთრების უფლებით ეკუთვნის „მიმწოდებელს“ და „მომხმარებელს“ ისინი გადაეცემა დროებით სარგებლობაში, ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე.

24.2. „მომხმარებელი“ ვალდებულია გაუფრთხილდეს, დაიცვას მექანიკური დაზიანებისაგან და განადგურებისაგან მის დროებით სარგებლობაში არსებული ქონება და არ დაუშვას დისპენსერის და ბოცის გამოყენება „ბინულის“ მარკის წყლის გარდა სხვა სახის სითხისათვის.

24.3. „მომხმარებელი“ ვალდებულია „მიმწოდებლისაგან“ შეიძინოს წლის განმავლობაში არანაკლებ 48 (ორმოცდარვა) ერთეული (თვეში დაახლოებით 4(ოთხი) ერთეული) „ბინულის“ მარკის სასმელი წყალი (19 ლიტრიანი მოცულობის ბოცით) ერთ დისპენსერზე გადაანგარიშებით, წინააღმდეგ შემთხვევაში „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და გამოითხოვოს „მომხმარებლის“ დროებით სარგებლობაში არსებული ქონება.

24.4„მომხმარებლის“ მიზეზით ქონების დაკარგვის შემთხვევაში, იგი უნაზღაურებს „მიმწოდებელს“ თითოეული სასმელი წყლის დისპენსერისათვის - 380 (სამასოთხმოცი) ლარს, თითოეული ჭიქების (ჩასადები) დამჭერისათვის- 20(ოცი) ლარს, ხოლო თითოეული 19 ლიტრიანი ბოცისათვის - 30 (ოცდაათ) ლარს.

24.5„მომწოდებელი“ ვალდებულია ,,მომხმარებლის'' მოთხოვნის საფუძველზე წელიწადში ორჯერ უზრუნველყოს დისპენსერის ჩანაცვლება სუფთა დისპენსერით.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
მუნიციპალიტეტის მერი	შპს ,,სუფთა წყალი''-ს
senaki municipality Digitally signed by senaki municipality Date: 2024.01.23 11:17:52 +04'00'	დირექტორი
---	---
ვახტანგ გადელია	ი. კალმახელიძე
	LLC Supta Tskali Digitally signed by LLC Supta Tskali Date: 2024.01.23 11:48:21 +04'00'